ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

СССР

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 3 (19445) ◆ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 4 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1986 ᲬᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ 1986 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲔᲜ რა სკკპ XXVII ყრილობის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა [illegible] საქართველოს სსრ მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს საბრეწველო წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის ძირითად სახეობათა პროდუქციის მიყიდვის, მინების, მრავალი სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო ობიექტის ექსპლოატაციოდ გადაცემის მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებანი.

რესპუბლიკის შრომითმა კოლექტივებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის და ახორციელებენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გამიზნულ პარტიის სტრატეგიულ კურსს, გადაწყვიტეს 1986 წლის პირველ ორ თვეში გეგმის გადაჭარბებით აწარმოონ 20 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, 5 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი.

1986 წელს გეგმის გადამეტებით საბრეწველო წარმოების მოცულობა გაადიდონ 80 მილიონი მანეთით, ატესტებულ პროდუქციაში ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის ხვედრითი წილი გაზარდონ 50 პროცენტამდე. გეგმიდ გათვალისწინებული 3,5 პროცენტის ნაცვლად 4,2 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება. გადაჭარბებით შეასრულონ ოვითღირებულების შემცირების დავალება, მკაცრად დაიცვან მიწოდების ვალდებულებანი. მრეწველობაში ითვისონ 218 ახალ სახეობათა პროდუქციის წარმოება. ვადამდე დაწერგონ რესპუბლიკის საწარმოებში 100 მანიპულატორი და საბრეწველო რობოტი, რიცხვული პროგრამული მართვის 60 ჩარხი, შექმნან 30 მექანიზებული ხაწყობი, უბანი და საამქრო. ხელის შრომიდან მექანიზებულ შრომაზე გადაიყვანონ 19 ათასი კაცი. განაგრძონ სახალხო მეურნეობაში სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის სამუშაოები.

ითვისონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომატარებლების სერიული გამოშვება, დაამზადონ ვლ-15 ტიპის თორმეტლერძიანი მაგისტრალური ელმავალი და „ალბატროსის“ ტიპის წყალქვეშაფრთიანი ახალი თბომავალი. დანერგონ ახალი მექანიზებული საწმენდი კომპლექსების გამოყენებით ჭიათურის მანგანუმის მადნის დამუშავების პრინციპულად ახალი ტექნოლოგია.

სოფლის მეურნეობაში 4,8 პროცენტით გაზარდონ პროდუქციის მოცულობა და 4,7 პროცენტით — შრომის ნაყოფიერება. გადაჭარბებით შეასრულონ საგეგმო დავალებანი და დაამზადონ 101 ათასი ტონა მარცვლეულად, 190 ათასი ტონა კარტოფილი, 610 ათასი ტონა ყურძენი, 560 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 170 ათასი ტონა ციტრუსი, 455 ათასი ტონა ხილი, 174 ათასი ტონა ხორცი, 290 ათასი ტონა რძე, 3,5 ათასი ტონა მატყლი, 557 მილიონი ცალი კვერცხი. საერთო საკავშირო ფონდში გაგზავნონ 50 ათასი ტონა საადრეო კარტოფილი, 55 ათასი ტონა ბოსტნეული, 130 ათასი ტონა ხილი, 80 ათასი ტონა ციტრუსი.

საწარმოების რეკონსტრუქციის, არსებული საწარმოო სიმძლავრეებისა და ნედლეულის რესურსების უკეთ გამოყენების გზით 25 მილიონი მანეთით გაზარდონ ადგილობრივი მოხმარების სასურსათო საქონლის წარმოება. საწარმოებისა და ორგანიზაციების დამხმარე მეურნეობებში ხორცის წარმოება გაადიდონ 2,5 ათას ტონამდე. თანმიმდევრულად განახორციელონ რესპუბლიკაში იმ კვების პროდუქტების შემოტანის შემცირების ღონისძიებანი, რომლებიც შეიძლება ადგილზე აწარმოონ.

გააუმჯობესონ მშენებლობის ხარისხი და აამაღლონ მისი ტექნიკური დონე. ვადამდე შეასრულონ საიჯარო სამუშაოების დავალებანი. 7 ნოემბრისათვის აამოქმედონ სიმძლავრეები გორის საშენი კონსტრუქციების კომბინატში. მთლიანად ითვისონ სასურსათო კომბინატის განვითარებისათვის გამოყოფილი კაპიტალდაბანდებანი და აამოქმედონ ყველა სიმძლავრე ნედლეულის გადამუშავების ხეზონისათვის.

დაამთავრონ საწარმოო გაერთიანებების „ქიმმაშკოს“, „ელმავალმშენებლის“ რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება, დაიწყონ კავკასიონის საფლელტეხილო რკინიგზის აგება. ვადამდე შეასრულონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები ვოლოგდისა და ტიუმენის ოლქების, „ბაიკალ-ამურის მაგისტრალის ობიექტებზე.

„კარგი“ და „ჩინებული“ შეფასებებით გადასცენ საექსპლოატაციოდ ბინებისა და სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო ობიექტების სულ ცოტა 80 პროცენტი. 25 დეკემბრისათვის შეასრულონ სანიაღვრე ფონდის კაპიტალური რემონტის დავალება.

რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტით დამატებით გადაზიდონ მილიონ 300 ათასი ტონა და საზღვარ ნავსადგურებში გადაამუშაონ 350 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. აამაღლონ ყველა სახეობის ტრანსპორტზე მგზავრთა მომსახურების კულტურა.

გადაჭარბებით შეასრულონ დადგენილი დავალებანი და დაზოგონ 37 ათასი ტონა ლითონის ნაგლინი, 108 ათასი ტონა ცემენტი, 97 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე, 350 ათასი გიგაკალორია თბოენერგია, წარმოების მოთხოვნილების მატების 80 პროცენტი დაკმაყოფილონ დაზოგილი რესურსების ხარჯზე.

საქონლისა და მომსახურების მიხედვით კომპლექსური პროგრამის შესრულებისას გეგმის გადამეტებით გამოუშვან 30 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი. დამატებით აწარმოონ 15 მილიონი მანეთის „ს“ ინდექსიანი გაუმჯობესებული ხარისხის ნაწარმი და 5 მილიონი მანეთის განსაკუთრებით მოდური ნაწარმი, რომელიც სახელშეკრულებო ფასებით საღდება. განახლონ ტრიკოტაჟის ნაწარმის ასორტიმენტი 60 პროცენტით, შეკერილი ნაწარმისა — 65, ფეხსაცმლისა — 75 პროცენტით.

აამაღლონ მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე. სახელმწიფო ვაჭრობაში თვითმომსახურების მეთოდით საქონლის გაყიდვის ხვედრითი წილი გაადიდონ 62 პროცენტამდე, ქოოპერაციულ ვაჭრობაში — 78 პროცენტამდე. დანერგონ 20 ახალი სახეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, გაუმჯობესონ მოსახლეობის სამედიცინო და კულტურული მომსახურება.

საქართველოს მშრომელები სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს აღუთქვამენ, რომ პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, კომუნისტურ მშენებლობაში ახალი მიღწევებით აღნიშნავენ 1986 წელს.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ.

ᲓᲔᲕᲘᲖᲘ: ᲐᲗᲐᲕᲘᲗᲕᲔ — ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲢᲔᲛᲞᲘ!

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ შრომითი შემართებით აღინიშნა ახალი წლის პირველი დღეები ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მეტ წილ დარგებში და, კერძოდ, მრეწველობაში. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, „ჭიათურმანგანუმის“, თბილისის „ელფაკამშენებლის“, „საქსამთოქიმშრეწველის“, თბილისის „ელექტროაპარატის“, „საქელექტრომანქანის“, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის, ფოთის პიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელი ქარხნისა და ზოგიერთი სხვა სამრეწველო საწარმოს კოლექტივებმა დაამტკიცეს, რომ უნარი შესწევთ გადაწყვიტონ მათ წინაშე დასახული მიმდინარე წლის ამოცანები. ამოცანათა შუაობის სწრაფი ტემპი შემდგომი წარმატებების საწინდარია.

ამოცანები, რომლებიც ქვეყნისა და რესპუბლიკის ეკონომიკამ უნდა გადაწყვიტოს მეთორმეტე ხუთწლედში, განსაკუთრებით რთული და ამავე დროს საპრესტიჟოა. საბჭოთა ხალხისადმი საახალწლო მიმართვაში აბს. მ. ს. გორბაჩოვმა ერთხელ კიდევ შეგვახსენა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებანი მოქმედების ძირითადი სახელმძღვანელოა. მეთორმეტეს ხუთწლედსა და შემდგომ აოწლეულში სახალხო მეურნეობის, მისი უმნიშვნელოვანესი დარგის — მრეწველობის აღმავლობის საყრდენი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება - იქნება. ამის შესახებ არის მითითებული ყრილობისწინა დოკუმენტებშიც. სწორედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება ხდება შრომითი კოლექტივების, მათი ხელმძღვანელების შუაობის შეფასების საზომი.

უაღრესად დიდი, პირდაპირ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ეამოქმედებთ ახალი ხუთწლედის პირველ წელს. მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმა, როგორ ცნობილია, დაამტკიცა საქართველოს სსრ მეთორმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე და მან კანონის ძალა მიიღო. იგი განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის გზაზე მკვეთრი შემობრუნების საქმეში. წლეულს რესპუბლიკის მრეწველობა აითვისებს 218 სახეობის პროდუქციის გამოშვებას და 6,8 პროცენტით გაზრდის უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის დამზადებას. მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციისათვის წლეულს გამოიყო 485 მილიონი მანეთი, რაც 18 პროცენტით სჭარბობს შარშანდელს და სახელმწიფო კაპიტალდაბანდების შესამედს შეადგენს.

ყოველივე ამის საფუძველზე გაღრმავდება წარმოების ინტენსიფიკაცია და გადიდდება მისი ეფექტიანობა. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების 6 პროცენტით ზრდის გზით უნდა მივიღოთ ეროვნული შემოსავლის აბსოლუტური მატების 85 პროცენტზე მეტი. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 3,5 პროცენტით გაიზრდება, რაც უზრუნველყოფს პროდუქციის მატების 80 პროცენტს და პირობითად 17 ათას კაცს გამოათავისუფლებს.

უპირატესად განვითარდება რესპუბლიკის მძიმე ინდუსტრიის საბაზო დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპსა და მასშტაბს. განსორციელდება ენერგეტიკული მშენებლობის დიდი ღონისძიებანი, განვითარდება მანქანათმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა. შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოთა საგეგმო პარამეტრები განსაზღვრულია მანგანუმის, სპილენძის, ტყვია-თუთიის საბადოთა მარაგისა და მათი ექსპლოატაციის პირობების, აგრეთვე რუსთავის მეტალურგიული და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნების საწარმოო-ტექნიკური ბაზის სრულყოფის ამოცანების შესაბამისად. განსაზღვრულია აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგების შემდგომი სრულყოფა. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება 7,3 პროცენტით გაიზრდება.

აღარავისთვის არ უნდა იყოს საჭირო იმის შეხსენება, რომ თანამედროვე სამეურნეო სიტუაცია ობიექტურად განსაზღვრავს ნედლეულისა და მასალების, სათბობისა და ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ჭკვიერი გაემჯობესებისა აუცილებლობას. წლეულს ეკონომიის გზით უნდა დაკმაყოფილდეს შავი ლითონების ნაგლინზე დამატებითი მოთხოვნილების 71 პროცენტი, ცემენტზე — 80 პროცენტი, ხე-ტყის მასალებზე — 69 პროცენტი, სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე — 50 პროცენტი. მეორეული რესურსების გამოყენებით უნდა გამოვუშვათ 378 მილიონი მანეთის საბრეწველო პროდუქცია და დავზოგოთ 60 მილიონი მანეთის პირველადი ნედლეული.

როგორც ხედავთ, გადასაწყვეტია მეტად სერიოზული ამოცანები. ამისთვის საჭიროა საქმისადმი დიდი პასუხისგებლობის გრძნობით, პარტიული პრინციპულობით გავაანალიზოთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელმაც განიხილა საკითხი „1985 წლისა და მეთორმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა შესრულების მოსალოდნელი შედეგების, 1986 წლის პირველი ორი თვისა და მთლიანად ამ წლის ნარმარტებით დამთავრების ამოცანების შესახებ“ აღინიშნა, რომ წარმოების სრულყოფის, მისი ეფექტიანობის გადიდებისა და საბოლოო შედეგებისადმი მისი მიმართებიდან გამომდინარეობს პროცესს ჯერ კიდევ არ მინჯებია კომპლექსური ხასიათი, მთელი რიგი მიზეზების გამო წარმოების ზრდის საგეგმო ტემპი მიმდინარე წლის პირველი ორი თვისათვის მნიშვნელოვნად ნაკლები იქნება საშუალო წლიურ ტემპთან შედარებით. არადა, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის მზადების პერიოდში წარმოების ტემპის ზრდის დაქვეითება ყოვლად დაუშვებელია. ამიტომ სამინისტროებს, უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებსა და საწარმოებს დამატებითი დავალებანი მიეცათ. მათი შესრულებისათვის ბრძოლა გახდება პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების პოლიტიკური სიმწიფის სერიოზული გამოდგა, იმის შემოწმება, თუ რამდენად შესწევთ უნარი პასუხსაგებ მოვალეობაში დარაზმონ შრომითი კოლექტივები დასახულ ამოცანათა ვადასაწყვეტად.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ მივაღწიოთ რიტმულ შუაობას. ამის მიღწევა საგებით შესაძლებელია თუ გავითვალისწინებთ, რომ გეგმა ნამდვილად რეალური, კარგად შეწონასწორებულია. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი დადგენილია 104,2 პროცენტის დონეზე. გარდა ამისა, მიღებულია საქართველოს მშრომელთა მიმდინარე წლის სოციალისტური ვალდებულებანი. მათ საფუძვლად უდევს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებათა პროექტი. როგორც ადრე, ასევე ახლა ვალდებულებასაც კანონის ძალა უნდა მივანიჭოთ.

შეშფოთებულ აქტივის კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა გავაძლიერო კომუნისტების როლი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში, მოწინავე გამოცდილების გავრცელებაში, მშრომელებისათვის საქმისადმი მეურნეობრივი დამოკიდებულების ჩანერგვაში. გასაქტიურებელია ადამიანებთან ორგანიზატორული და პოლიტიკური შუაობა, უფრო მიზანმიმართულად უნდა ვეწეოდეთ კადრების შერჩევასა და აღზრდას, უფრო მკაცრად ვაკონტროლებდეთ მათს საქმიანობას, უფრო საგნობრივად ვხელმძღვანელობდეთ პირველადს პარტორგანიზაციებს. ყველაფერ ამაში კი, როგორც ეს თბილისის საქალაქო პარტორგანიზაციის მე-40 საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე აღინიშნა, ტონის მიცემი უნდა იყვნენ თბილისელი მშრომელები, რესპუბლიკის დედაქალაქის სახალხო მეურნეობის დარგების კოლექტივები, პარტიული ორგანიზაციები, ყველა კომუნისტი.

ამდენი, მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წელი გარდატეხის პერიოდი გახდება რესპუბლიკის ისეთი დიდი საწარმოებისათვის, როგორიც არის რუსთავის „ქიმმაშკოსა“ და „ჯზოტის“ საწარმოო გაერთიანებანი, „საქთვალზომეწვი“, საქართველოს ბიოკომბინატი და ზოგიერთი სხვა ორგანიზაცია. ყველაფერს იღონებენ პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესებისათვის თბილისის „ჩარხმშენებლის“, თბილისის „ელფაკამშენებლის“ საწარმოო გაერთიანებები, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოები.

მაგ ასე, დაიწყო მეთორმეტე ხუთწლედი, ჩვენი ეკონომიკისა და, კერძოდ, მრეწველობის ოვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანის პირველი პერიოდი. ამთავითვე ავიღოთ მუშაობის სწრაფი ტემპი, დიდი მიღწევებით შეეგებოთ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კომუნისტთა დიდ ფორუმებს.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ მორიგ სხდომაზე განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისათვის გამოქვეყნებული სხვა დოკუმენტების საყოველთაო-სახალხო განხილვა. როგორც სხდომაზე აღინიშნა, საერთო-სახალხო და საერთო-პარტიული განხილვა მიმდინარეობს ფართო დემოკრატიულ საფუძველზე, საქმიან ვითარებაში და კონსტრუქციული ხასიათისაა. პარტიის ყრილობისათვის გამოქვეყნებული დოკუმენტების განხილვაში მონაწილეობს მილიონობით მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენციის წარმომადგენელი, კომუნისტი და უპარტიო. საგულდაგულოდ აზოგადებენ და ანალიზებენ შემოსულ წინადადებებსა და შენიშვნებს. პოლიტბიუროომ დაავალა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ოპერატიულად განახორციელონ საქმერო ღონისძიებანი იმ შენიშვნებთან დაკავშირებით, რომლებსაც საყრილობო დოკუმენტების განხილვის დროს გამოთქვამენ მშრომელები სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის კონკრეტულ საკითხებზე.

პოლიტბიუროომ მხარი დაუჭირა საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წინადადებას იმის შესახებ, რომ მოეწყოს საკავშირო კომუნისტური შაბათობა სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავად, რომლის ორგანიზაციის ინიციატივა გამოიჩინეს ქვეყნის მრავალი საწარმოს შრომითმა კოლექტივებმა. გამოითქვა რწმენა, რომ შაბათობის მოწყობა იქნება საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმის გამოხატულება, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საყრილობო ვალდებულებების, ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში.

მოიწონეს მთავრობის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის სამკერვალო, ფეხსაცმლის, ტყავისა და ტრიკოტაჟის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებში კადრების დამკვიდრება. დასახულია ღონისძიება დაჩქარონ ამ საწარმოების ტექნიკური განაზლება, უზრუნველყონ პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, შემოიღონ ერთდროული ჯილდო წლების ნამსახურობისათვის, გაუზარდონ სატარიფო განაკვეთები სამკერვალო, ფეხსაცმლისა და ტრიკოტაჟის მრეწველობის მუშებს, რომლებიც დასაქმებული არიან კონვეიერებზე. მიღებულია გადაწყვეტილება დაუწესონ სართი ღამით მუშაობისათვის ძირითადი და დამხმარე საამქროების ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებს, აგრეთვე განახორციელონ მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი მრეწველობის აღნიშნულ დარგებში შრომის ორგანიზაციის სრულყოფისთვის.

პოლიტბიუროომ მოიწონა საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად მყოფ კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის აღმინისტრაციული საბჭოს პრემიერთან კან სენ სანთან ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის საუბრისა და ამხანაგ ნ. ი. რიჟკოვის მოლაპარაკების შედეგები. აღინიშნა: გამართულმა აზრთა გაზიარებამ ცხადყო, რომ კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრული ურთიერთობა, აგრეთვე პარტიები და ქვეყნები ისწრაფვიან გააღრმაონ თანამეგობრობა ახლო აღმოსავლეთში, აზიაწყნარი ოკეანის რეგიონში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, ვიეტნის დროს დადებული შეთანხმებანი ხელს შეუწყობენ სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს, თუ როგორ სრულდება პარტიისა და მთავრობის მიერ წინათ მიღებული მთელი რიგი დადგენილებანი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის საშინაო ცხოვრების და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი.

ᲐᲠᲒᲠ ᲡᲐᲮᲘᲣᲭᲐᲠᲗ ᲛᲘᲘᲦᲘᲓᲘᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ ᲡᲙᲙᲞ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲞᲠᲝᲤᲡᲐᲮᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲬᲕᲠᲝᲛᲐ ᲛᲘᲦᲝ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲕᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲕᲔᲠ ᲐᲛᲧᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲚᲘᲡᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘ. ᲘᲒᲘ ᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲥ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲔᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲭᲠᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲡᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲚᲚᲝ-ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲐᲖᲐ, ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲐ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲒᲐᲓᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲑᲘᲚᲘ

პრესის დიდმნიშვნელოვანი ამოცანები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საჟურნალო დოკუმენტების პროპაგანდის, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის შრომითი კოლექტივების დარაზმვის მიზნით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო და რაიონული გაზეთების მუშაობის საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი გარკვეულ მუშაობას ეწევა ავტონომიური ოლქის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სისტემის სრულყოფისათვის. ეს დადები გავლენას ახდენს საოლქო გაზეთების „სოვეთონ ირისთონის“, „საბჭოთა ოსეთის“, ჯავის „ძაუს“, ზნაურის „ლენინური გზით“, ლენინგორის „ლენინელის“ საქმიანობაზე სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად შრომითი კოლექტივების დარაზმვისათვის.

მათს ფურცლებზე აისახება პოზიტიული ძვრები ავტონომიური ოლქის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, სადაც ბოლო წლების მანძილზე განხორციელდა ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი ამაღლების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების, მოსახლეობის მატერიალური და შრომითი მოთხოვნილებების უფრო სრული დაკმაყოფილების მნიშვნელოვანი ღონისძიებანი.

ამავე დროს სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები ახასიათებს სამხრეთ ოსეთის საოლქო და რაიონული გაზეთების მუშაობას საყრილობო დოკუმენტების, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრის მიზნით მშრომელთა პატრიოტული თაოსნობებისა და ინიციატივების პროპაგანდისათვის.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ჯერ კიდევ არ გამხდარან პარტიის პროგრამის ახალი რედაქციისა და წესდების ცვლილებების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პეროიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტების განხილვის ნამდვილი საყოველთაო-სახალხო ტრიბუნა. მათში საკმაოდ მკაფიოდ და ყოვლისმომცველად არ არის თავმოყრილი მშრომელთა იდეები, წინადადებები, გამოცდილება. ჯეროვნად არ აისახება სახელმწიფო დავალებათა წარმატებით რეალიზაციისათვის საჭირო მაღალი შრომითი და იდეურ-ზნეობრივი განწყობა.

მათ აკლია სისტემურობა და თანამიმდევრულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თემების გაშუქებაში. ბევრ პუბლიკაციას ანალიზებს ზერელობა, გამოვლენილი არ არის შრომის დადებითი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ერთიანობის როლი.

სრულიად შეუწყნარებელია, ნათქვამია დადგენილებაში, რომ სათანადო ყურადღება არ ეთმობა, განსაკუთრებით რაიონულ პრესაში, ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობას. გაზეთების ფურცლებიდან გაქრა რუბრიკები ამ საკითხზე, სუსტად აისახება პოზიტიური ცვლილებანი რეგიონში, ამ თემისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებს ანგარიშების ხასიათი აქვს, აკლია კრიტიკული მიმართულება, რაც უარყოფითს გავლენას ახდენს მშრომელთა ინფორმირებაზე, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე.

უაღრესად სუსტად წარმოებს თაოსნობების, მათ შორის ისეთი თაოსნობების პროპაგანდა და გავრცელება, რომელთა ინიციატორები არიან ავტონომიური ოლქის შრომითი კოლექტივები — სამკერვალო და ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკები, პუმიმიდები საწარმოო „ალანი“, ელექტროსარემონტო, მექანიკური და ავტომარი განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პეროიოდის ძირითად მიმართულებათა გეგმით უნდა დამუშავდეს საზოგადოებრივ მეცნიერებაში კომპლექსური პრობლემები და გაფართოვდეს იმ საშუალებათა არსენალი, რომლებმაც უნდა გადაწყვიტონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, მისი ინტენსიური განვითარების გზაზე გადაყვანის დიდმნიშვნელოვანი ამოცანები.

გასულ ხუთწლეულში, იმ მიზნით, რომ შექმნილიყო გამოკვლევათა კოორდინაციის ეფექტიანი და მოქნილი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა რესპუბლიკის დარგობრივ მეცნიერებათა შორის მტკიცე ურთიერთკავშირს, ინტელექტუალური პოტენციალის კონცენტრაციას საზოგადოებრივ-ეკონომიკურ

ძიება დროის კარნახით

ეს სპორადი ნემაპოდები

ბუნების იდუმალ სამყაროში შეღწევა ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა. უხსოვარი დროიდან დღემდე მატერიალური დოვლათის მოპოვებისათვის ზრუნვა აიძულებდა მას ეძებნა გარე სამყაროზე ზემოქმედების გზები, გაეთვალისწინებინა მისი თავისებურებანი.

ადამიანი და ბუნება... ამ სიტყვებში, ძალზე ხშირად დაწყვილებულად რომ გვესმის, ცხოვრების და არსებობის მთელი ფილოსოფიაა ჩაქსოვილი.

...ჩვენ ხორცით, სისხლითა და ტვინით ბუნებას ვეკუთვნით და მის შიგნით ვიმყოფებთ, და რომ მთელი ჩვენი ბატონობა მასზე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ყველა სხვა ქმნილებასთან შედარებით უპირატესობის გამო შეგვიძლია ბუნების კანონები შევიცნოთ და სწორად გამოვიყენოთო, — გვასწავლის დიდი ენციკლოპედია...

„მაგრამ ძალიანაც ნუ მოვიტყუებთ თავს ბუნებაზე ჩვენი ადამიანური გამარჯვებებით მოხიბლულნი, — იქვე გვაფრთხილებს იგი, — ყოველი ასეთი გამარჯვებისათვის ბუნება შურს იძიებს ჩვენზე. მართალია, ყოველ ამ გამარჯვებას პირველ რიგში სწორედ ის შედეგები აქვს, რომელთაც ჩვენ ვითვალისწინებდით, მაგრამ მეორე და მესამე რიგში მას აქვს სრულიად სხვა, გაეთვალისწინებელი შედეგები, რომელნიც ძალიან ხშირად პირველ შედეგებს კვლავ აქარწყლებენ“.

ეს სიტყვები თითქოს დღეს არის ნათქვამი. მათ დასადასტურებლად ფაქტებისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება.

როგორც ცნობილია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, აგრეთვე, ტყისა და საერთოდ ბუნების დასაცავად ფართოდ იყენებენ ქიმიურ ნივთიერებებს. ეს დიდი ხნის მანძილზე არცთუ ისე უმნიშვნელო ეფექტს იძლეოდა და შეუცვლელ საშუალებად მიაჩნდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში თვალსაჩინო გახდა მათი უარყოფითი თვისებებიც. კერძოდ, შხამქიმიკატები აბინძურებს გარემოს, არ არჩევს მავნე და სასარგებლო მწერებს, ასე, გარკვეულწილად, ზიანს აყენებს როგორც მცენარეებს, ისე ადამიანსაც და ცხოველებსაც.

ქიმიური ინსექტიციდების მოქმედებით ირღვევა წონასწორობა ბიოცენოზებში, ჩნდება ახალი მავნებლები, რასაც იწვევს ქიმიური საშუალებებით სასარგებლო მწერების განადგურება.

შხამქიმიკატების ხშირი გამოყენება ხელს უწყობს ისეთი მავნებელი მწერების ახალი ხაზის გაჩენას, რომლებიც გამძლენი ხდებიან ქიმიური პრეპარატების მიმართ.

ამას წინათ საინტერესო მონაცემები გამოაქვეყნეს ამერიკის შეერთებული შტატების მერილენდის უნივერსიტეტის მეცნიერმა თანამშრომლებმა; მათ დაასაბუთეს, რომ სიმინდის ნათესებში სარეველათა ოცდაათმა სახეობამ, რომლებიც წინათ დიდ მგძნობიარობას იჩენდნენ ჰერბიციდების მიმართ, გამომიმუშავეს გამძლეობა და ახლა დიდ ზიანს აყენებენ მოსავალს. სარეველების ასეთი შეგუება ჰერბიციდებისადმი, როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, ძირითადად წარმოშვა ერთსა და იმავე მინდვრებში ამ პრეპარატის ხანგრძლივი და უცვლელი ხმარების შედეგად.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დაავადებების, მავნებლების, მღრღნელებისა და სარეველა ბალახების მიზეზით გამოწვეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ყოველწლიური დანაკარგი მსოფლიო მასშტაბით ოცდაათ პროცენტს აღწევს.

სულ რამდენიმე წელია, რაც საქართველოში შემოაღწია კოლორადოს ხოჭომ. მისი მავნებლობა კარგად არის ცნობილი, იგი დღესაც მოსვენებას უკარგავს მთელი მსოფლიოს პრაქტიკოს მეცნიერებს და მეურნეებს.

კარტოფილის ნათესები, რომლებსაც კოლორადოს ხოჭო შეესევა, დროის მოკლე მონაკვეთში შემზარავ შთაბეჭდილებას ტოვებს. მართალია, იგი მცენარის ბოლქვებს ვერ აზიანებს, სამაგიეროდ ერთიანად შთანთქავს ფოთლებს; გასხეპილი და შიშველი ღეროები ვეღარ ახდენენ ფოტოსინთეზს, ნაყოფი ვერ იღებს სახამებელს და განუვითარებელი და უხარისხო რჩება. ასე ზიანდება ჩვენში კარტოფილის ნათესების 40-50 პროცენტი.

კიდევ უფრო დიდ ზარალს კოლორადოს ხოჭო ბადრიჯნის კულტურას აყენებს. თუ კარტოფილის შხამქიმიკატებით შეწამვლის დროს არ გვეშინია, რომ ეს პრეპარატი მცენარის ბოლქვებზე გადავა, სამაგიეროდ ბადრიჯნის ნათესებზე მისი გამოყენება სიფრთხილეს მოითხოვს, რათა შხამი ნაყოფში არ მოხვდეს.

ასეთ მავნე მწერთაგან მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილებლად დიდ მუშაობას ეწევა საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მისმა მეცნერმა მუშაკებმა დიდი რუდუნებით და მოთმენით შექმნეს პრეპარატი „ქლოფა-50“, რომელსაც იყენებენ ადრინდელი ქლოროფოსის ნაცვლად. ახალი პრეპარატით ნათესების დამუშავება გაცილებით ნაკლებ დროს მოითხოვს, ეფექტი კი 99-100 პროცენტს აღწევს.

აქვე გვინდა ვთქვათ აგრეთვე მაისის ღრაჭზე, რომელიც ალაზნის და ივრის პირველ ტერასებზე გვხვდება და მრავალწლოვან ნარგავებს სერიოზულ ზიანს აყენებს. მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის თანამშრომლებმა აქაც თქვეს თავისი სიტყვა — შეიმუშავეს ცეოლითზე გრანულირებული პრეპარატი, რომელიც მავნებელთა სიკვდილიანობას ოთხმოცდაათ პროცენტამდე ზრდის (ადრე, სხვა პრეპარატის გამოყენებით იგი ორმოცდაათ პროცენტს არ აღემატებოდა).

კოლორადოს ხოჭოს და მაისის ღრაჭას მავნეობასა და მცენარეთა მიერ მათ წინააღმდეგ გაჩაღებულ ეფექტიან ბრძოლაზე ასე იმიტომ შევჩერდით, რომ გვინდა მკითხველს კიდევ ერთხელ შეეახსენოთ შხამქიმიკატებით რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვისათვის გაწეული ღვაწლი, მაგრამ გვსურს გავიმეოროთ ის, რაც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ — დროთა განმავლობაში ხდება მავნებელთა ადაპტაცია ამ პრეპარატებისადმი, რის გამოც შემდეგ დღის წესრიგში დგება ახალი საშუალებებისა და სახსრების ძიება. ამავე დროს შხამქიმიკატები არცთუ ისე უწყინარია ბუნებისა და ადამიანისათვის.

ამიტომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებისაგან დაცვის ბიოლოგიურ მეთოდს დღეს მაინც მეტი ყურადღება სჭირდება.

როგორც ცნობილია, საქართველოში კოლორადოს ხოჭოს გავრცელების ერთ-ერთი წყარო ბელორუსიიდან შემოტანილი კარტოფილი გახდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ საიდანაც ეს მავნე მწერი შემოვიდა, იქ იგი არა მარტო მეტი რაოდენობით ბუდობს, არამედ მის წინააღმდეგ უფრო მრავალფეროვან მეთოდს და საშუალებებსაც მიმართავენ, ალბათ.

მართლაც, ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა ჩვენს დედაქალაქში კოლორადოს ხოჭოს წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე საკავშირო სიმპოზიუმი გაიმართა, ბელორუსი ორატორი მართლაც შეეხო ერთ-ერთ ასეთ მეთოდს და დამწყრეთ ფრიად საინტერესოდ უამბო... ხოხობზე. დიახ, ბელორუსიაში ფართოდ მოაშენეს ხოხობი და გამოიყენეს იგი ამ მავნე მწერის მოსასპობად. შედეგი ფურმე განსაცვიფრებელია.

აქ ორი მომენტია საყურადღებო: ერთი, რომ ხოხობის მომრავლება ქვეყნის სიმდიდრეა და, მეორეც, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა წინააღმდეგ გამოყენებულია ბიოლოგიური მეთოდის ორიგინალური საშუალება: ასე შეიძლება მივაგნოთ სასურველ შედეგს იქ, სადაც ნაკლებად ველით.

ჯერ კიდევ სკკპ XXVI ყრილობის დირექტივებში დიდი ყურადღება დაეთმო სასოფლო-სამეურნეო მეცნარეებისა და ცხოველების მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ბიოლოგიური მეთოდების დამუშავებას და პრაქტიკულ ხორციშესხმას.

უკვე თითქმის ორი ათეული წელია, ჩვენი ქვეყანა მონაწილეობს საერთაშორისო ბიოლოგიური პროგრამის განხორციელებაში, რომელშიც შედის სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ცხოველების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური პრობლემაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიომეთოდის გამოყენება სრულიად არ გულისხმობს ქიმიური პრეპარატების უგულებელყოფას. პირიქით, საჭიროა მათი გონივრული შეხამება, რომ გლობალურად დავძლიოთ ჩვენს წინაშე წამოჭრილი ყველა ამოცანა.

მავნებელთა და დაავადებათა ბრძოლის ბიოლოგიურ მეთოდებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პარაზიტული ნეტატოდების გამოყენებას, რაც ეშმარიტად პერსპექტიული და საიმედო საშუალებაა.

ნემატოდების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სახეობაა ნეოაპლექტანა. ეს საოცარი მრგვალი ჭიები, რომელთა დანახვა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია, მსოფლიოში აღიარებულია როგორც მავნე მწერებზე მეტად ეფექტიანად მოქმედი საშუალება. ისინი განვითარების საწყის სტადიებში შეიჭრებიან მწერის სხეულის სტერილურ ცხიმოვან ქსოვილში და შეაქვთ პათოგენური ბაქტერიები, რომელნიც რამდენიმე საათის შემდეგ კლავენ მწერს.

ნეოაპლექტანები ხელოვნურ საკვებ არეზე მრავლდება. ჩვენე მწერებთან ბრძოლის მიზნით ბაქტერიებს ჩამორეცხავენ საკვები არედან და ეძულესიის სახით მოასხურებენ ნიადაგს და მცენარის ფოთლებს. ნემატოდ-ბაქტერიული პრეპარატის გამოყენება დიდ ეფექტს იძლევა როგორც ნიადაგში მობინადრე მწერებზე — მუხლუხოებსა და მატლებზე, ასევე ფოთლის მავნებლებზე — ფოთოლჭამიებზე, პეპლების მუხლუხოებზე და ა. შ. ტყის დამუშავება ამ პრეპარატით ამდიდრებს ტყის ნიადაგს და ანადგურებს მცენარის ფესვთა სისტემის მავნებლებს: ღრაჭებს, მავთულჭიებს და სხვებს.

აი, ეს არის ძირითადად ნემატოდო-ბაქტერიული პრეპარატის დამუშავება-გამოყენების არსი და ძნიშვნელობა.

თუმცა ნემატოდების აგრესიული ხასიათი მწერებისადმი თითქმის მეჩვიდმეტე საუკუნემდეც ცნობილი, მისი პრაქტიკული და ინტენსიური გამოყენება ამ ბოლო პერიოდში დაიწყო. პირველი მნიშვნელოვანი ცდები მოაწყვეს ამერიკის შეერთებულ შტატებში წლის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ნიადაგში. ნემატოდების ლარვების შეტანა წიაღში ხდებოდა ორი ხერხით: ბელტებქვეშ გათხრილ პატარა ორმოებში გავრცელებით, ან ნემატოდობაქტერიული სუსპენზიით ნიადაგის მორწყვით. მეორე ხერხი უფრო ეფექტიანი გამოდგა. ორი-სამი კვირის შემდეგ ხახეს ნემატოდებით დასნებოვნებული იაპონური ხოჭოს ცოცხალი და მკვდარი ჭუპრმატლები. დაინვაზირების ხარისხი 81,5 პროცენტს აღწევდა, მწერის პოპულაცია კი 40 პროცენტით შემცირდა. ამავამად ამავე სახელმწიფოში მეცნიერმა გ. პოინარმა დაამზადა და გაავრცელა ნემატოდობაქტერიული პრეპარატი, რომლის გამოყენება ევალება ყველა ფერმერს.

ნეოაპლექტანას ნემატოდებს შეისწავლიან აგრეთვე კანადაში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში.

საბჭოთა კავშირში მოსკოველი და ლენინგრადელი მეცნიერების გარდა, ამ პრობლემაზე მუშაობენ ქართველი სპეციალისტებიც. უკვე 1962 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში შუშაობენ მწერების პარაზიტული ჰელმინთების შესწავლაზე (ინსტიტუტის დირექტორი— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბორის ყურაშვილი, ენტომოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გოლია კაკულია).

1962 წელს, ინსტიტუტის დირექტორის ბ. ყურაშვილის აქტიური მხარდაჭერით გ. კაკულიამ, რომელიც მაშინ უმცროსი მეცნიერი მუშაკი იყო, დაიწყო მუშაობა ნემატოდების შესწავლაზე. ორი წლის შემდეგ ლაგოდეხის ნიადაგების გაცნობისა და დამუშავების დროს მან ივნისის ღრაჭაში აღმოაჩინა ნეოაპლექტანა, რომელსაც „გეორგიკა ნეოაპლექტანა“ (ქართული ნეოაპლექტანა) უწოდეს.

ეს ამ გზაზე ქართველ მეცნიერთა დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

შემდეგ წლებში მეცნიერმა გაგრძელა მუშაობა ბორჯომდა და ქობულეთის მავნებლების უვნებელსაყოფად.

შედეგი და ეფექტი ფრიად შთამბეჭდავია.

და კიდევ, რაზეც გვინდა გასაკუთრებულად შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება — ეს არის ნეოაპლექტანას ახალი სახეობის აღმოჩენა თეზაში და მისი გამოყენება კოლორადოს ხოჭოს გასანადგურებლად. ცდებს აწარმოებდა ახალგაზრდა მეცნიერი ოლეგ გორგაძე. ახლა, როცა უკან დარჩა შეუპოვარი ძიების და ლოდინის დღეები, შეგვიძლია განვაცხადოთ მეცნიერული კვლევის მეტად საგულისხმო შედეგები: ლაბორატორიულ პირობებში კოლორადოს ხოჭოს სიკვდილიანობა 98-100 პროცენტია, ხოლო სავეგეტაციო პირობებში 85 პროცენტი.

ბიოლოგიური მეთოდის ასეთი ეფექტიანობისათვის კოლორადოს ხოჭოს წინააღმდეგ ბრძოლაში, ალბათ, მსოფლიოში ბევრ სამეცნიერო დაწესებულებას არ მიუღწევია: ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ დროთა განმავლობაში მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის მიერ დამუშავებულ შესანიშნავ პრეპარატებს შესაძლოა დაეკარგოს მისი მაღალი თვისებები მცენარის მავნებელთა მოსალოდნელი ადაპტაციის გამო, საჭიროა ვიფიქროთ ა მ ორი — ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებების ერთობლივ გამოყენებაზე, რაც უეჭველად ხელს შეუწყობდა დასახული მიზნის მიღწევას და რეპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღმავლობას.

სიტყვა აგრონომებს და პრაქტიკოს სპეციალისტებს ეკუთვნით.

ასეთია ამ საოცარი ნემატოდების „თავგადასავალი“.

ლაბორატორიამ შექმნა და მიაკვლია ახალ საკვებ არეს ნემატოდების გასამრავლებლად. ეს არის აბრეშუმის ჭია. წინათ ამ მიზნით იყენებდნენ თაფლის ფაჭის ჩრჩილს, მუხლუხოებს და ა. შ., რაც მაინცდამაინც დიდი ნაყოფიერებით არ გამოირჩეოდა; აბრეშუმის ჭიის წყალობით ხუთჯერ გაიზარდა ინვაზიური ლარვების მასა და, რა თქმა უნდა, ამით ნემატოდების ფართოდ გამოყენების შესაძლებლობაც.

ლაბორატორიაში მიმდინარეობს აგრეთვე, სხვა ხელოვნური საკვები არეების შესწავლაც.

ამრიგად, მიღწეულია მთავარი — ათვისებულია ნეოაპლექტანას მოპოვების მეთოდიკა და დამტკიცებულია მისი გამოყენებისა და ამ ბიოლოგიური მეთოდის დიდი ეფექტიანობა.

ცდები, რომლებიც ჯერჯერობით წარმოებს, მცხეთის, გორის, ხაშურის, ბორჯომის და ლაგოდეხის რაიონებში, მომავალში უფრო გაფართოვდება და გადაინაცვლებს ოთხავლეთ საქართველოში, სადაც აღმოჩენილი და შესწავლილი იქნება ნეოაპლექტანა [illegible] ვიზრუნოთ მეცნიერული კვლევის გაფართოებაზე.

ასე ვეცნობით ბიოლოგიის ინსტიტუტის ენტომოლოგიური ლაბორატორიის თანამშრომელთა საქმიანობას და გეგმებს. აქვე უნდა დავასახელოთ ის ადამიანები, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ ამ ბიოლოგიური მეთოდის დამუშავებაში: ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გოლია კაკულია, უფროსი მეცნიერი მუშაკები: ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები თამარ გურგენიძე და ციალა დევდარიანი, უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები: ოლეგ გორგაძე, ირინე ჯავახია, ლია მაღლაკელიძე, თემურ სირაძე, მანანა ლორთქიფანიძე, დათო სვანიშვილი, მარიკა ფარეიშვილი, ლაბორანტი ქეთინო ბრეგაძე.

ეს დიდი ძიება კარგად ეხმაურება „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის მიმართულებებს“, სადაც ხაზგასმით არის ნათქვამი: „მოვახმაროთ საზოგადოებრივ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა ძალისხმევა უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებას“.

მეცნარეთა და ცხოველთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ნემატოდებით ბრძოლა სწორედ ფართო პერსპექტივებს. სახაფს ჩვენი სოფლის მეურნეობის წინაშე თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბიოლოგიურ მეთოდებს ბრძოლის ქიმიურ მეთოდებთან შედარებით უპირატესობა და დიდი მომავალი აქვს.

სიცოცხლის უარყოფა თვით სიცოცხლეშია, — გვასწავლის მარქსისტული მოძღვრება. ეს ნიშნავს, რომ ბუნება წარმოშობს ძალას, რომელსაც შესწევს უნარი თვითონვე მოახდინოს რეგულირება სამყაროში, დაიცვას და შეინარჩუნოს სისტემატურობა და კანონზომიერება. მთავარია მხოლოდ — ადამიანმა სწორად შეიცნოს და გამოიყენოს იგი.

ასეთია ბუნების დიალექტიკა.

ნ. ბარათაშვილი.
ნ. ჯაველიძე.

ეკონომიკა
ფაქტები • მოვლენები

● სსრ კავშირ-ინდოეთი

ემსახურება მშვიდობის საქმეს

დელი, 2 იანვარი. (საკდესი). თანასწორუფლებიანი და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის განვითარებას ეძღვნება ორდღიანი სემინარი „საბჭოთა კავშირ-ინდოეთის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა“. ინდოეთის საგარეო საქმეთა ასოციაციის ინიციატივით იგი მოაწყო საექსპერტო ორგანიზაციების ფედერაციამ, ვაჭრობისა და სამრეწველო განვითარების ინსტიტუტმა. სემინარის მონაწილეთა შორის არიან ინდოეთის მთავრობის მინისტრები, საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლები, ინდოეთის საგარეო-ეკონომიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

მათ მიესალმნენ ინდოეთის პრეზიდენტი ზაილ სინგჰი და რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი რაჯივ განდი.

ინდოეთის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირთან საავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შეუნელებელ განვითარებას, განაცხადა სემინარის გახსნისას ინდოეთის ფინანსთა მინისტრმა ვ. პ. სინგჰმა. ეს თანამშრომლობა ემსახურება მშვიდობის საქმეს.

ვ. პ. სინგჰმა დიდად შეაფასა 1985 წლის მაისში მოსკოვში ხელმოწერილ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკონომიკურ შეთანხმებებს. ამ მორიგებათა განხორციელება ახალ იმპულსს მიანიჭებს ორი ქვეყნის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას, წვლილს შეიტანს სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებაში, თქვა მან.

მძლავრი ანტირასისტული მანიფესტაცია გაიმართა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კაპის პროვინციის ქალაქ კუინსტაუნის მახლობლად მდებარე სოფელ მლუნგისში (სურათზე). 20 ათასზე მეტი კაცი, რომლებიც პოლიციის ტერორის მსხვერპლთა დაკრძალვაში მონაწილეობისათვის ჩამოვიდნენ, გაიძახოდა ლოზუნგებს სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის მხარდასაჭერად. მათ მოითხოვეს სისხლიანი რეპრესიების დაუყონებლივ შეწყვეტი, რომლებსაც პრეტორია მიმართავს მოსახლეობის წინააღმდეგ.

რეიტერ-საკდესის ფოტო

● ნატო-ესპანეთი

ცდილობენ უარი ათქმევინონ რეფერენდუმზე

მადრიდი, 3 იანვარი. (საკდესი). „არ გვსურს ნატო!“, „მოსპეთ ამერიკული სამხედრო ბაზები!“, „მხარს ვუჭერთ ესპანეთის ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან გამოსვლასს!“ — ასეთი ლოზუნგებით შეხვდნენ მადრიდის მცხოვრებლები ნატოს გენერალურ მდივანს ლორდ კარინგტონს, რომელიც აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა. ესპანეთის ფართო საზოგადოებრიობის სახელით ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციების საკოორდინაციო კომიტეტმა და ნატოდან ესპანეთის გამოსვლისათვის მებრძოლმა გაერთიანებამ იგი „პერსონა ნონ გრატად“ გამოაცხადეს. ასობით მშვიდობისათვის მებრძოლი, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელი, პროგრესული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პროფკავშირების აქტივისტი შეიკრიბა საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობასთან პლაზ მაიორზე. ისინი მოვიდნენ აქ, რათა მტკიცე პროტესტი გამოეცხადებინათ იმის წინააღმდეგ, რომ ნატოს მესვეურები ერეკვიან ესპანეთის საშინაო საქმეებში.

პირინეის ნახევარკუნძულზე ლორდ კარინგტონის მოგზაურობისათვის წმინდა „საოქმო ხასიათის“ მინიჭების ცდების მიუხედავად, მისი მიზნები ნათელია. ნატოში ესპანეთის მონაწილეობის საკითხზე ესპანეთის მთავრობის მიერ დაპირებულმა რეფერენდუმმა, აღნიშნავს გაზეთი „პაისი“, ნატოს ხელმძღვანელების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ნატოს გენერალურ მდივანს, წერს გაზეთი „დიარიო-16“, სურს დაარწმუნოს მმართველი კაბინეტის წევრები უარი თქვან რეფერენდუმის გამართვაზე, რომელიც შეიძლება შექმნას „საშიში პრეცედენტი“ და გამოიწვიოს „ჯაჭვური რეაქცია“ სამხედრო ბლოკის სხვა წევრ ქვეყნებში.

● სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

აპარტეიდის წინააღმდეგ მოძრაობა მტკიცდება

პარარე. 2 იანვარი. (საკდესი). აპარტეიდის მოწინააღმდეგეთა სისხლიანი ხოცვა-ჟლეტით აღნიშნეს ახალი წელი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულმა ხელისუფლებმა. ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში დახოცეს თერთმეტი და დაჭრეს ათობით აფრიკელი, მოაწყვეს მასობრივი დაპატიმრებები.

დამსჯელთა დიდი ძალები გაგზავნეს დერბანში საპროტესტო გამოსვლების ჩასახშობად. მათ დემონსტრანტებს ცრემლსადენ-გაზიანი ხელყუმბარები, შემდეგ კი ცეცხლი დაუშინეს, დაჭრეს რამდენიმე კაცი. ბონტეჰუველში კეპტაუნის მახლობლად, იუპინგტონის, ვეერენიგინგისა და ბლუმფონტეინის გარეუბნებში თავს დაესხნენ პოლიციელებისა და არმიის პატრულებს. გააფთრებულმა შეტაკებებმა კვლავ იფეთქეს მოუტსის რაიონში, რომელიც პრეტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. ამ რაიონის 120 ათასი მცხოვრები, რომელიც სოტოს ეროვნებას განეკუთვნებიან, პროტესტს უცხადებენ მთავრობის გეგმებს შეუერთონ მათი მიწები კვაზებელეულს ბანტუსტანს, რომელსაც მომდინარე წელს ნავარაუდევია მთანიჭონ ფიქციური „დამოუკიდებლობა“.

გაერთიანებულმა დემოკრატიულმა ფრონტმა, რომელშიც სამხრეთ აფრიკის 700-ზე მეტი საზოგადოებრივი ორგანიზაცია შედის, 1986 წელი გამოაცხადა აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა ძალის შეკავშირების წლად. იმათი თავდადების წყალობით, ვისთვისაც, სძულველია რასიზმი, უთანასწორობა, რეპრესიები და უკანონობა, გასულ წელს მნიშვნელოვნად განმტკიცდა აპარტეიდის წინააღმდეგ მოძრაობა, აღნიშნულია ფრონტის საახალწლო წერილში. მასში მკაცრად არის დაგმობილი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების ხელის შეწყობა რასისტებისადმი. გაერთიანებულმა დემოკრატიულმა ფრონტმა განაცხადა, რომ საჭიროა პრეტორიის სრული იზოლაცია საერთშორისო ასპარეზზე.

თავის მხრივ, ახალ წელთან დაკავშირებით ქვეყნისადმი მიმართულებაში, რასისტული რეჟიმის მეთაურმა პ. ბოტამ განაცხადა, რომ მის მთავრობას კვლავაც გადაწყვეტილი აქვს „გადაჭრას“ სამხრეთ აფრიკის პრობლემები ძალადობის მეშვეობით. მან მადლობა გამოუცხადა არმიასა და პოლიციას.

ფოტოფაქტი



პოლიტიკური ბოიკოტის სრული მარცხი

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

**ვარშავა. 2 იანვარი (საკდესი). ბოლო წლებში დასავლეთის ქვეყნების ცდებმა, პოლიტიკური ბოიკოტი გამოეცხადებინათ პოლონეთისათვის, სრული მარცხი განიცადა. ჩაიფუშა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო მდგომარეობის დესტაბილიზაციის, ქვეყანაში ეკონომიკურ სიძნელეთა შექმნის გეგმები, განაცხადა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ო
ეხოვსკიმ.**

გაზეთ „ტრიბუნა ლუდუსათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ თანამმდევრულმა საშინაო და აქტიურმა საგარეო პოლიტიკამ საშუალება მისცეს პოლონეთის სახელმწიფოს კვლავ სათანადო ადგილი დაეკავებინა საერთაშორისო ასპარეზზე. მტკიცე მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. ეს სამოკავშირეო ურთიერთობა ყოველთვის იყო, არის და იქნება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი. ეს მეგობრობა და თანამშრომლობა ემყარება კლასობრივი და სახელმწიფო ინტერესების ერთიანობას, იგი არის პოლონეთის სახელმწიფოს უშიშროების საძირკველი და პოლონეთის შემდგომი განვითარების ამოცანათა წარმატებული განხორციელების პირობა სოციალიზმის გზაზე. ბოლო წლების გამოცდილების, უწინარეს ყოვლისა დასავლეთის ქვეყნებთან პოლონეთის ეკონომიკური ურთიერთობის საფუძველზე, ჩვენ სათანადო დასკვნები გამოვიტანეთ, თქვა მ. ოეეხოვსკიმ. არსებითი ცვლილებები მოხდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სტრუქტურაში, უწინარეს ყოვლისა მოძმე სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გაფართოების გზაზე.

ვიმედოვნებთ, ხაზგასმით აღნიშნა მინისტრმა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის ამასწინანდელი უმაღლესი დონის შეხვედრის მეოხებით დაწყებული საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესების პროცესი განმტკიცდება. მაგრამ თვალს ვერ დავხუჭავთ იმაზე, რომ იმპერიალიზმი ანორეიელებს გამალებული შეიარაღების გაფართოების, კოსმოსურ სივრცეში მისი გადატანის კურსს. იმპერიალისტური კონფრონტაციის პოლიტიკის ალტერნატივაა საბჭოთა კავშირის, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოების აქტიური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა.

ეს საინტერესო ნეოაპლექტანები

ბელორუსი ორატორი მართლაც შეეხო ერთ-ერთ ასეთ მეთოდს და დამწყრეთ ფრიად საინტერესოდ უამბო... ხოხობზე. დიახ, ბელორუსიაში ფართოდ მოაშენეს ხოხობი და გამოიყენეს იგი ამ მავნე მწერის მოსასპობად. შედეგი ფურმე განსაცვიფრებელია.

აქ ორი მომენტია საყურადღებო: ერთი, რომ ხოხობის მომრავლება ქვეყნის სიმდიდრეა და, მეორეც, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა წინააღმდეგ გამოყენებულია ბიოლოგიური მეთოდის ორიგინალური საშუალება: ასე შეიძლება მივაგნოთ სასურველ შედეგს იქ, სადაც ნაკლებად ველით.

ჯერ კიდევ სკკპ XXVI ყრილობის დირექტივებში დიდი ყურადღება დაეთმო სასოფლო-სამეურნეო მეცნარეებისა და ცხოველების მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ბიოლოგიური მეთოდების დამუშავებას და პრაქტიკულ ხორციშესხმას.

აი, ეს არის ძირითადად ნემატოდო-ბაქტერიული პრეპარატის დამუშავება-გამოყენების არსი და ძნიშვნელობა.

თუმცა ნემატოდების აგრესიული ხასიათი მწერებისადმი თითქმის მეჩვიდმეტე საუკუნემდეც ცნობილი, მისი პრაქტიკული და ინტენსიური გამოყენება ამ ბოლო პერიოდში დაიწყო. პირველი მნიშვნელოვანი ცდები მოაწყვეს ამერიკის შეერთებულ შტატებში წლის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ნიადაგში. ნემატოდების ლარვების შეტანა წიაღში ხდებოდა ორი ხერხით: ბელტებქვეშ გათხრილ პატარა ორმოებში გავრცელებით, ან ნემატოდობაქტერიული სუსპენზიით ნიადაგის მორწყვით. მეორე ხერხი უფრო ეფექტიანი გამოდგა. ორი-სამი კვირის შემდეგ ხახეს ნემატოდებით დასნებოვნებული იაპონური ხოჭოს ცოცხალი და მკვდარი ჭუპრმატლები. დაინვაზირების ხარისხი 81,5 პროცენტს აღწევდა, მწერის პოპულაცია კი 40 პროცენტით შემცირდა. ამჟამად ამავე სახელმწიფოში მეცნიერმა გ. პოინარმა დაამზადა და გაავრცელა ნემატოდობაქტერიული პრეპარატი, რომლის გამოყენება ევალება ყველა ფერმერს.

ნეოაპლექტანას ნემატოდებს შეისწავლიან აგრეთვე კანადაში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში.

საბჭოთა კავშირში მოსკოველი და ლენინგრადელი მეცნიერების გარდა, ამ პრობლემაზე მუშაობენ ქართველი სპეციალისტებიც. უკვე 1962 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში შუშაობენ მწერების პარაზიტული ჰელმინთების შესწავლაზე (ინსტიტუტის დირექტორი— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბორის ყურაშვილი, ენტომოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გოლია კაკულია).

1962 წელს, ინსტიტუტის დირექტორის ბ. ყურაშვილის აქტიური მხარდაჭერით გ. კაკულიამ, რომელიც მაშინ უმცროსი მეცნიერი მუშაკი იყო, დაიწყო მუშაობა ნემატოდების შესწავლაზე. ორი წლის შემდეგ ლაგოდეხის ნიადაგების

საახალწლოდ!

თბილისი

ჩვეულებრივ, ახალი წლის მიჯნაზე ადამიანი თვალს ავლებს ხოლმე თავის ნაღვაწს და იმედით შესცქერის მომავალს. რას მოგვიტანს ახალი წელი, რამდენ ახალ სახლსა და სკოლას, ჯანმრთელობის კერასა თუ ოჯახს ჩაეყრება საფუძველი, რამდენი დაილოცავს ახალ ჭერსა და ძეობას, ანდა, რამდენი ახალი ქუჩა გაიჭრება, რამდენი ახალი სპექტაკლი თუ გულში ჩამწვდომი მელოდია შეიქმნება, რამდენი ნახატითა და წიგნით გავიხარებთ, მოკლედ, ვინ მოთვლის, რამდენ სიახლეს გვპირდება ახალი წელი!

1985 წელს, როგორც თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მართვის ცენტრიდან გვაცნობეს, 20770 თბილისელი დაიბადა, 10489 წყვილმა იქორწინა და ბედნიერი ოჯახი შექმნა.

ათასობით თბილისელმა იზეიმა ახალმოსახლეობა დედაქალაქის ახალ რაიონებში — ვარკეთილსა თუ მუხიანში, ვაზისუბანსა თუ გლდანში. მათ შორის, ვინც სულ ახლახან შეაღო კარი ახალ ბინაში, თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანების მუშა-მოსამსახურენიც არიან. მათთვის ფონიჯალაში 16-სართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა და 54 ოჯახმა დაილოცა ჭერი და ფუძე.

დედაქალაქის განახლებულ უბანში, შავთელის ქუჩაზე ახალ შენობაში პირველი მაყურებელი მიიღო თბილისის მარიონეტების ქართულმა თეატრმა „ბერიკამ“. წარმოდგენილი იქნა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის რეზო გაბრიაძის ახალი სპექტაკლი „ჩვენი გაზაფხულის შემოდგომა“.

გაიხსნა ბარათაშვილის სახელობის სანაპიროს ახალი, ორკილომეტრიანი, კეთილმოწყობილი მაგისტრალი — დიღმის ხიდიდან ქსნის ქუჩამდე.

ორგელიანთ უბანში, ახლადრესტავრირებულ თბილისურ სახლში გაიხსნა კაფე-საკონდიტრო „მაიკო“. ფირნიშზე გამოსახული ჩიტკოპიანი მანდილოსანი გულღიად ეპატიჟება მომსვლელებს. აქ შემოგვთავაზებენ მრავალფეროვან ტაბილეულს. მათ შორის საფირმო ტორტს „მაიკოს“, ხაჭაპურებს. აქვე შეგიძლიათ შეუკვეთოთ ნებისმიერი ნამცხვარი და ამით დაზოგოთ დროცა და ენერგიაც.

(„კომ.“ კორ.).

აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრში საახალწლოდ მწყობრში ჩადგა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლი. შენობის ოთხ სართულზე განლაგდა სასწავლო კაბინეტები, ბიბლიოთეკა, წიგნსაცავი, აუდიტორიები, სამასადგილიანი საქტო დარბაზი. აქვე ბინას დაიდებს ლექტორთა ჯგუფი, მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი, საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობა, საქართველოს მასობრივი ინფორმაციის ორგანოების საკორესპონდენტო პუნქტები.

შენობის მეორე ნაწილი უკავია შვიდასადგილიან საკონფერენციო დარბაზს თავისი კინოდანადგარებითა და რადიოკვანძით.

კეთილმოწყო კომპლექსის ახლომახლო ტერიტორიაც, გაზონებში დაირგო ვერცხლისფერი ხეები და ყვავილები.

ნაგებობა ააშენა „აფხაზმშენის“ ტრესტის № 2 სამშენებლო სამართველოს კოლექტივმა.

შენობის პროექტის ავტორია არქიტექტორი ა. კვიტატიანი.

(საკ. კორ.).

აჭარა

ბათუმი: 1985 წელს სამჯერ მეტი სახლი აშენდა, ვიდრე წინა წელს:

ეს შედეგია იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, სარდაფული და ბარაკული ტიპის სახლებში მცხოვრებნი უმოკლეს ვადაში უნდა შეასახლონ კომფორტულ ბინებში. ამ-ჟამად ოჯახი იზეიმებს ახალმოსახლეობას.

ქობულეთი: ბოლო ხანს ჯანმრთელობის მრავალი კერა, მათ შორის პანსიონატები „ჰორიზონტი“, ცეკავშირის დასასვენებელი სახლი, სასტუმრო „კოლხეთი“ და მრავალი სხვა ობიექტი შეემატა კურორტს.

ახლახან აქაურობა კიდევ უფრო დაამშვენა ორსართულიანმა „ჩაის სახლმა“.

ბობოყვათის ზონაში შენდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დასასვენებელი სახლი, რომლის მეთოთხმეტე სართულს უკვე ამთავრებენ მშენებლები.

ხელვაჩაური: ღონიერია გონიოს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა — ახლა აქ ოჯახს ვერ ნახავთ, 7-10 ათასი მანეთი გამომუშავება რომ არ ჰქონდეს. მშრომელთა უმრავლესობა ახალ, კეთილმოწყობილ ბინებში ცხოვრობს. ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლი. შენდება საბავშვო ბაღი და სხვა.

ახლო მომავალში კიდევ ორი საცხოვრებელი სახლი ჩადგება მწყობრში, რითაც მეურნეობაში საბოლოოდ გადაწყდება ბინის პრობლემა. (საკ. კორ.).

ქუთაისი

გოლო დროს სახე იცვალა და რესტავრირებულია დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის — სახლ-მუზეუმი, ვაჟა-ფშაველას ქუჩის დასაწყისში დაიდგა პოეტის ბიუსტი, კეთილმოეწყო მიმდებარე ტერიტორია.

თეთრ ხიდთან, იქ, სადაც ადრე პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე იყო, ქუთაისში მომუშავე მწერლებს გადაეცათ მწერალთა კავშირის ახალი სახლი. აქვე მოთავსდა ალმანახ „განთიადის“ რედაქცია და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ქუთაისის ფილიალი; ამუშავდა განახლებული თოჯინების თეატრი, საცურაო კომპლექსი და ახალი აფთიაქი.

დიდი სიხარული აქვთ ქუთაისელ ქადრაკის მოყვარულთ. ზარქსის ქუჩაზე გაიხსნა ქადრაკის სასახლე, რომელსაც სამგზის მსოფლიო ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძის პატივსაცემად მისცეს სახელი ეწოდა.

ახლახან მომხმარებელთა გულს გასახარად ოპერისა და ბალეტის თეატრის გვერდით გაიხსნა კაფე-ბარი „მედეა“, ბოლო ორ წელიწადში ქუთაისელ მშრომელებს გადაეცათ 150 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინები. მთელი რიგი უბნები დაამშვენა 9-სართულიანმა ახალმა სახლებმა, რომლებშიც საახალწლოდ ასობით ოჯახი შეასახლდა.

(საკ. კორ.).



მსუბუქი და ლაღი ირონია ბიბ—ბერიკა ქანრი

ვინ ამოიცნობს ილუზიონისტის ხელოვნების საიდუმლოებას? ასეთრაც რომ დაესწროთ, ასეთივე გაოცებული და აღტაცებული იქნებით, მაგრამ საიდუმლო საიდუმლოდ დარჩება!

სწორედ ეს არის მთელი მიმზიდველობა გია ფარადაშვილის ხელოვნებისა და მასაც ეს იდუმალების ხიბლი მატებს ძალას, შექმნას ახალ-ახალი ეტიუდები, ვარიაციები, გაითამაშოს თქვენს წინაშე მთელი თავისი პროგრამა ისე იოლად და ლაღად, თითქოს ეს-ეს არის ორიოდ ნახტომით დაეჭერილი პეპელა დაისვა ხელის გულზე და უეცრად: ააფრინა იგი ღიმილითა და სიყვარულითო, მაგრამ... ფერნაცვალი.

ასეც შეიძლება მოხდეს! გია ფარადაშვილი ისეთ ოინებს სჩადის მაყურებლის თვალწინ, რომ ნოღარაფერი გაგიკვირდებათ: მით უმეტეს სხვისი ჯიბიდან ამოღებული მისი საათი ან სხვა რაიმე საგანი. მის ხელოვნებაში სხვა რამ არის უფრო საინტერესო, ახლებური და მიმზიდველი — გონებამახვილობა და პლასტიკურობა, გაშმაგონებლობა და ლაკონიურობა, სილაღე და სიმარჯვე, წაძიერი და ლამაზი მოჩვენებითობა, საგანთა უეცარი ფერისცვალება.

რა არის, ბოლოს და ბოლოს, ილუზიონისტობა, ანუ რომ გადმოვაქართულოთ — „თვალთმაქცობა?! მართლაც მარტოოდენ ხელმარდობა ანდა, როგორც თვითონ იტყვიან ამ ჟანრის მიდევარნი, ხელის სისწრაფე და სხვა არაფერი?

მეტი, ბევრად მეტი, რისთვისაც აუცილებელია გუმანი და კარგი წვრთნა.

სად მიიღო ნათლობა გია ფარადაშვილმა? თავდაპირველად თბილისის სახელმწიფო საცირკო სასტრადო სასწავლებელში უსწავლია, რომელიც 1972 წელს დაამთავრა. მას მერე იგი მოსკოვში მიავლინეს სტაჟირებისათვის საკავშირო თეატრალურ სტუდიაში. მოსკოვშივე მოღვაწეობდა მსოფლიოში ცნობილი ილუზიონისტი დიკ ჩიტაშვილი, რომელსაც მიაკითხა ჭაბუკმა. სახელოვანი მსახიობი სიხარულით შეხვდა თანამემამულის სურვილს — გაეცალო მასთან „საიდუმლო გაკვეთილების“ ციკლი. ასე აზიარა ილუზიონის ხელოვნების სიღრმეს და სილამაზეს თავისი შეგირდი ამერიკელების მიერ დიკად მონათვლილმა. დავით ჩიტაშვილმა, მასვე მიუქცევია ყურადღება ჭაბუკის მოქნილობისათვის და შეუქია, — ყველაზე უფრო პლასტიკური ილუზიონისტი ხარ ჩვენშიო.

ჩვეულებრივ ილუზიონისტები ფრაკით ანდა ევროპული კოსტიუმებით გამოდიან ხოლმე ესტრადაზე. მაგრამ ამ ფრაკსა თუ კოსტიუმს არაჩვეულებრივად ბევრი უჩინარჩინური ჯიბე აქვს. ეს ჯიბეებიც დიდ როლს ასრულებენ ხელის სისწრაფესა და „თვალთმაქცობაში“!

დიახ, თვალთმაქცობაა კარგი გაგებით ის, რასაც წარმოსახავს [illegible] ფარადაშვილი, [illegible] ოსტეობაში თავის ბიჭ[illegible] ... [illegible] ... [illegible], რომელიც ფრაკად სერიოზულობით ასრულებს მასწავლებელთან ერთად თავის ეშმაკურ ქმედებას.

— ჭართველი ილუზიონისტის პროგრამა მრავალფეროვანია. პროგრამის ერთ ნაწილს იგი ჩოხაშიც ასრულებს ხოლმე და ეს ნოშრები ერთგვარად რიტუალური ხასიათისაც კია, ასე რომ, გია ფარადაშვილი ლირიკოსიც ყოფილა.

გია ფარადაშვილი საგასტროლო მოგზაურობაში უფრო ხშირად არის, ვიდრე თბილისში — იგი მრავალგზის დიპლომირებულია, ზაფხულზე მოსკოვის მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალის ლაურეატიც გახდა, მოიარა თითქმის მთელი საბჭოთა კავშირი და უცხოთის ბევრი ქვეყანა. არის მოსკოვის, პრაღისა და პარიზის ილუზიონისტთა კლუბების წევრი.

— ზოგჯერ დღეში ათი სეანსიც კი მქონია გასტროლებზე ყოფნისას.

— და განა არ იღლებით?

— არა, თითქოს არა!

მაგრამ ამ უარყოფაშიც ილუზიურობაა!

როცა საკონცერტო პროგრამაში გიას გვარს შენიშნავთ ან გაიგონებთ, უეჭველად მიადევნეთ თვალი, მით უმეტეს საახალწლო დღეებს უხდება ღიმილი და მაქციობა, — ვინძლო უთოვლო ახალ წელიწადს თოვლიც „გაინ“ ინოს“ ხოლმე.

ნანა ღვინეფაძე.



სურათზე: გია ფარადაშვილი და მისი მოწაფე ირინე ჭანტურია.

ვ. გენგიურის ფოტო.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში წყალტუბო

მოედნები და ქუჩები

კეთილეწყობა ქალაქის ქუჩები და მოედნები, ახალი იერი შეიძინა საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კავშირგამმყოლობის სახლის წინ მდებარე მოედნებმა, ხარაჩოებშია საფირმო მაღაზიისა და შემნახველი სალაროს შენობები. დაიწყო მუსიკალური შადრევნის მშენებლობა, მოასფალტდა, გალამაზდა პირველი და მეორე წრიული ქუჩები, მიმდინარეობს სანატორიუმ „გეოლოგის“ წინ მდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. ცენტრალურ უნივერმაღთან დაიდგა ხალხთა მეგობრობის ამსახველი სტენდი.

ბაგა-ბაღები, სახლები

ახალი ბაგა-ბაღები გაიხსნა ქვილიშორში, ზარათსა და მუხიანში. ისინი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინიციატივით აიგო.

ფართოვდება საკურორტო ქსელი

ბოლო ხანს დიდი ყურადღება ეთმობა საკურორტო ქსელის გაფართოებას. ახლახან ამუშავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი კეთილმოწყობილი 600-ადგილიანი სანატორიუმი „აია“, რომლის კაბინეტ-ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე ტიპის სამედიცინო აპარატურით. დამსვენებლებს მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი ემსახურება.

მალე საექსპლოატაციოდ გადეცემა სანატორიუმი „სამგურალი“.

ახალი ჩაის ფაბრიკა

წლეულსვე აშენდა და მწყობრში ჩადგა კიდევ ერთი ჩაის ფაბრიკა, რომლის სადღეღამისო მწარმოებლობა 90 ტონაა. ფაბრიკა აღჭურვილია თანამედროვე უახლესი ტიპის ახალი დანადგარებითა და ტექნოლოგიით. სამუშაოთა მეტი წილი მექანიზებული და ავტომატიზებულია.

დ. ბედენიძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ბრესილის სიახლენი

ბაღიული. (საკ. კორ.). ღღითი დღე მშენდება და კეთილმოწყობილი ხდება სოფელი ბრესილი. ამ ბოლო ხანს აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების შენებლობას, მომსახურების სფეროს გაფართოებას. სულ ახლახან სოფელში გაიხსნა ახალი „ავეჯის საამქრო, რომელიც ამზადებს ტელევიზორის მაგიდებს, სკამებსა და კარადებს.

ბრესილელ კოლმეურნე ქალებს მომსახურებას უწევენ ახლად გახსნილი სამკერვალო საამქრო და ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო. კოლმეურნეობის ერთ-ერთ დიდ ბრიგადაში ამ დღეებში დაამონტაჟეს ახალი ელექტროწისქვილი.

ახალი წლის პირველი დღეებია. ყველგან კვლავ საზეიმო განწყობილება იგრძნობა. მხოლოდ თოვლი გვაკლია, სამაგიეროდ მზე უხვად დაგვჩახჩახებს, და თუ არა საახალწლოდ მორთული ნაძვისხეები, ვერც კი დაიჯერებთ, რომ ნამდვილად კალენდრით იანვარი გვწვია, ზამთრის შუა თვე, როცა ყინვა და თოვლი წლის ამ პერიოდისათვის არის დამახასიათებელი.

ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა სიმონ კილაძემ საახალწლო განწყობილების შესაქმნელად ეს ფოტოები შემოგთავაზათ. ალბათ, იცანით, მარცხნივ ვიტრინაში დადგმულ კოხტად მორთული ნაძვისხის ფონზე მოჩანს სასტუმრო „ივერიის“ კონტური, მარჯვნივ ლამპიონებით გაჩახჩახებული განახლებული ძველი თბილისის ერთი კუთხეა სანაპიროს მხრიდან დანახული. ეს კი თოვლის პაპა გახლავთ, ბავშვებთან გამოსვლის სამზადისში გართული.

სიმართლე და ერთგულება

მიხეილ იაშვილი სამხატვრო აკადემიაში კინოს მხატვრის პროფესიას დაეუფლა შესანიშნავი პედაგოგისა და მხატვრის დიმიტრი თაყაიშვილის ხელმძღვანელობით. სადიპლომო თემად მან ბაბუამისის — ცნობილი ქართველი პოეტის პაოლო იაშვილის „ფერადი ბუშტები“ აირჩია, ხოლო უჩა ჯაფარიძის ასპირანტთა შემოქმედებითი სახელოსნოს დამთავრებისას კიდევ ერთი სადიპლომო ნამუშევარი „ჩემი ოჯახი“ შექმნა.

ინტერესთა სიმრავლით, ძიებებით, სიახლეებით ხასიათდება მიხეილ იაშვილის შემოქმედება. მისი ნამუშევრები ემოციურია, რადგან დახვეწილი და სათუთია თვით შინაგანი სამყარო. სრბილე და სილამაზის ღრმა შეგრძნება დომინირებს მათში. ამიტომაც, მისი სურათები: პეიზაჟები და ილუსტრაციები, პორტრეტები, ნატურმორტები და კინოესკიზები ისევ და ისევ სიღრმით, სიცოცხლით, მშვენიერებით და სიმართლით გამოირჩევიან.

აკადემიისა და ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მ. იაშვილმა გაფორმა მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის ერთ-ერთი სპექტაკლი. მხატვარი თვლის, რომ მისმა შრომამ ფუჭად არ ჩაიარა, რადგანაც დროის იმ მონაკვეთში საკმაოდ კარგად გაეცნო თეატრალური მხატვრობის სპეციფიკას, ბევრი რამ შეიძინა.

რამდენიმე წელი იმუშავა მ. იაშვილმა მშობლიურ სახლრეში, სადაც მან ბაბის სართავი ფაბრიკის დეკორატიული გაფორმება ითავა ახალგაზრდა არქიტექტორ ნიკოლოზ გეგეჭკორთან ერთად. ფაბრიკის ერთ-ერთი ნაგებობის მთავარი კედელი ეთმობა მოზრდილ დეკორატიულ კოტბებს. ლითონის ბადეზე დაკრული ოთხკუთხა ჭიქური ფილები კომპოზიციის დეტალებს შეიცავენ, შემდეგ ხდება მათი აწყობა შაბლონის მიხედვით. კომპოზიცია „იმერეთი“ სწორედ ამ საბოლოო სტადიაში იმყოფება. ძალზე პასუხსაგები და მნიშვნელოვანია ეს პერიოდი მხატვრისათვის, ეს სამუშაო დიდ გულისყურსა და

სტრიხები ახალგაზრდა მხატვრის კორტრეტისათვის

ნებისყოფის მოკრება მოითხოვს. მიუხედავად ამისა, მიხეილი სხვა საქმესაც ასწრებს: შემოდგომაზე იგი სამთვიან შემოქმედებითს მივლინებაში იმყოფებოდა ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთით — კოლის ნახევარკუნძულზე საბჭოთა აკვარელისტთა ჯგუფთან ერთად.

სრულიად ახალი ჰორიზონტები, სრულიად სხვა, უჩვეულო სამყარო გადაეშალა მხატვარს. ეს სამი თვე სწავლის, დაკვირვებების თვეები იყო. სწორედ აქ შექმნილი ნაწარმოებებით წარმოდგა ახლახან მხატვრის სახლში გახსნილ გამოფენაზე მ. იაშვილი.

გამოფენაზე ექსპონირებული 100 ნამუშევარი მრავალფეროვნებით, მხატვრულ-ტექნიკური დონის სრულყოფითა და სისავსით გამოირჩევა. მათი სტილი და კოლორიტი თავისებური და განსხვავებულია. თითოეული სურათი მეტყველებს იმას, რომ ავტორი არ კმაყოფილდება ერთხელ მიგნებულით, იგი ეძიებს, არჩევს, ხვეწს და დაუსრულებელი, თავდადებული, დაბეჯითებულია ეს ძიება. აქ არის პეიზაჟები, პანორამები და კუთხეები, ნატურმორტები და პორტრეტები.

კოლის ნახევარკუნძულის მცხოვრებთა პორტრეტებში ეცნობით იქაურ მუშებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს. ეს ნახატები კალმთა და ტუშით შეესრულებია მხატვარს და მათში ზუსტად მიგნებული დეტალებით, ნიუანსებით არის გადმოცემული ადამიანთა ხასიათები თუ გარეგნული ნიშნები.

ძურმანსკის, ანიკელის, კოვდის, დიღის ხედები, ქუჩები, ჩრდილოეთის თავისებურ უცხო სილამაზეს, ფერებს, ბუნებას გვაცნობს. ტოხთა სილობო, ხედვის ფერტილთა ინდივიდუალობა გამოდინარეობს ნანახის, აღქმულის და ეი პირადი დამოკიდებულებების მჭიდრო ურთიერთკავშირიდან. ღრმად განცდილი და გააზრებული თითოეული სურათი, მაგრამ ამ გამოფენის ღირსება მაინც მათი ერთიანობაა. მიუხედავად განსხვავებული მიდგომისა, განსხვავებული მანერისა, ექსპოზიცია ერთ მთლიან სურათად იკითხება, ერთ აზრსა და ჩანაფიქრს ექვემდებარება.

ის, რასაც ჩვენ დღეს მხატვრის სახლის საგამოფენო დარბაზებში ვხედავთ, დროდადრო იფინება ჩრდილოეთის ქალაქებში, სხვადასხვა რესპუბლიკაში. 25 საბჭოთა აკვარელისტის „ტურნე“ მოსკოვში დასრულდა, სადაც ფართო საზოგადოებრიობისა თუ პროფესიონალთა ეროსულოვანი მოწონება დაიმსახურა. მოსკოვურ გამოფენაზე უფროსი კოლეგების გვერდით მ. იაშვილის ორი ნამუშევარიც არის წარმოდგენილი.

თხუთმეტივე რესპუბლიკის წარმომადგენლები შინ დაბრუნებისას სრულყოფილ შემოქმედებითს ანგარიშს აბარებენ თავიანთ ხალხს. მ. იაშვილის პერსონალური გამოფენაც სწორედ ასეთი ანგარიშია დედაქალაქის საზოგადოებრიობის წინაშე და ეს მოვლენა მისთვის მართლაც ახლად დაბადებას უდრის.

ლელა ოჩიაური.

თბილისური სურათები

პრობლემა, ჰიპოთეზა, ფაქტი

ლელვი — სამკურნალო პროდუქტი

სსრ ქავშირი. საქართველოს სუბტროპიკულ მეურნეობებში დაიწყო ლელვის პლანტაციების გაშენება. გასულ შემოდგომაზე რესპუბლიკის ლელვის ბაღების საერთო ფართობმა 20-ათას ჰექტარს გადააჭარბა.

ლელვი სუბტროპიკული კულტურაა. იგი ერთნაირი წარმატებით ხარობს როგორც მშრალ, ისე ნოტიო სუბტროპიკებში, უძლებს 16 გრადუსამდე ყინვას.

ლელვი მალე ფუჭდება და მას მეტწილად ჩირად იყენებენ. ჩირი ინარჩუნებს გემოსა და დიდ შაქრიანობას. გემრიელია და ბევრ შაქარს, ცილებს, ცხიმებს, ვიტამინებს, კალიუმის მიკროელემენტებს შეიცავს ლელვის მურაბა, ჯემი, ხილფაფა და წვენი.

ექიმები ლელვის ჰამას ურჩევენ მაღალი არტერიული წნევით, ბრონქული ასთმით დაავადებულთ, იგი აუმჯობესებს ფილტვების, თირკმელების მუშაობას, სისხლის შედგენილობას, თირკმლებს ათავისუფლებს კენჭებისაგან. ლელვს სისხლნაკლებობის დროსაც იყენებენ, ხოლო ფოთლებს ნახარშს ხმარობენ გულის დაავადებათა სამკურნალოდ.

სისხლის ანალიზი — წამეგზი

უნგრეთი. უნგრული გაერთიანება „მედიკორის“ მიერ შექმნილი აპარატი სისხლის უმთავრესი რვა პარამეტრის ანალიზს აწარმოებს. აპარატს მოქმედების სიჩქარე — 960 მონაცემია საათში. ისაზღვრება ლეიკოციტების და თრომბოციტების რაოდენობა, ჰემოგლობინის კონცენტრაცია და სხვა. სისხლის მოწოდება ხდება ავტომატურად აპარატის შემმოწმებელ კვანძებში, ინფორმაცია კი დისპეტჩის და საბეჭდ მოწყობილობაზე აისახება. „მედიკორის“ ახალი აპარატი აღჭურვილია მეხსიერების ბლოკით და ელექტრონული გამომთვლელი მანქანით.

თუ აპარატი ფართოდ დაინერგება, ახლო მომავალში სისხლის ჩაბარების შემდეგ პასუხის ცდა საჭირო აღარ იქნება.

დირიჟაბლების ალორძინება

ინგლისი, საფრანგეთი. საფრანგეთისა და ინგლისის სანაპიროების საჰაერო პატრულობა ხორციელდება „სკაიშიპ-500“ დირიჟაბლით. მან უკვე შეასრულა 24 საათის ფრენის რამდენიმე სერია და სპეციალური ლოკატორით დათვალიერებულია 80.000 კვადრატული მეტრი ფართობი. 24 საათის ფრენის დროს მხოლოდ 530 ლიტრი საწვავი დაიხარჯა. გამოცდებმა ცხადყო დირიჟაბლების უპირატესობა და ეფექტიანობა თვითმფრინავებთან, ვერტმფრენებთან და გემებთან შედარებით.

ფირმა „ეირშიპ ინდასტრიზ“ ამუშავებს „სკაიშიპ-7000“ ახალი დირიჟაბლის პროექტს. მისი სიგრძე 140 მეტრი იქნება, ტვირთამწეობა — 35 ტონა, სიჩქარე — 200 კილომეტრი საათში, ფრენის ხანგრძლივობა საწვავის ჩაუმატებლად ერთი კვირაა.

და, რაც მთავარია, თითქმის გამორიცხულია ხანძრის საშიშროება — კომპიუტერული სისტემა დაუყოვნებლივ ჩააქრობს ცეცხლს ინერტული გაზით. თუ დირიჟაბლის გარსი საბრძოლო იარაღით დაზიანდა, ეკიპაჟს კიდევ 6-7 საათი დარჩება მიწაზე დაჯდომისათვის.

ახალი ტიპის სასტუმრო

იაპონია. ტოკიოში აშენდა ახალი ოტელი, სადაც მომსახურე პერსონალი არ არის. სასტუმრო მთლიანად ავტომატიზებულია. მასში 1500 საცხოვრებელი ნომერია. შეკვეთის გაფორმებას, ოთახის ქირის გადახდას და მისი გაღებისათვის სპეციალური მაგნიტური ფირფიტის გაცემას აწარმოებს ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანა. დაგეგმილია იაპონიაში 25 ასეთი ოტელის აშენება.

ისევ გავყინვარების პერიოდი

გფრ. ქალაქ კილის უნივერსიტეტის მეცნიერთა აზრით, უახლოეს 1000 წელიწადში შესაძლებელია გამყინვარების ხანის დადგომა. მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ უკანასკნელი 3 მილიონი წლის მანძილზე დედამიწაზე გამყინვარების ზონა 26-ჯერ გამეორდა და თვლიან, რომ ახლოვდება მორიგი გამყინვარების პერიოდი.

თანამგზავრები წიალისეულის აღმოჩენისათვის

მსოფლიოში გრძელდება საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე თანამგზავრების შექმნა და ორბიტებზე გაშვება კოსმოსიდან დედამიწის ბუნებრივი რესურსების საბადოების აღმოჩენისათვის.

საფრანგეთის „სპოტ-1, „სპოტ-2“, „სპოტ-3“ და „სპოტ-4“ თანამგზავრების ორბიტებზე გაშვება ნაწილობრივ უკვე დაიწყო, პირველი მონაცემების მიღებას დაახლოებით ორ თვეში ელოდებიან. კომერციული ხელმძღვანელობისათვის შექმნილია ფირმა „სპოტ იმაჟი“ და უკვე 32 ქვეყანასთან დადებულია ხელშეკრულებანი ხომალდებიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენების თაობაზე.

ევროპის კოსმოსური სააგენტოს ორგანიზაციამ განაცხადა, რომ თანახმაა საერთაშორისო ექსპერიმენტის მოწყობაზე „ერს-1“ თანამგზავრის საშუალებით. „ერს-1“ გათვალისწინებულია ზღვის ბუნებრივი რესურსების შესასწავლად და მისი გაშვება დაგეგმილია 1989 წლისათვის.

თბილისიდან იაპონიაში

ტოკიოსა და ოსაკას ეროვნულ მუზეუმებში ორ თვეს ეცნობოდნენ დამთვალიერებლები საბჭოთა კავშირის მუზეუმებიდან ჩამოტანილ ექსპონატებს. გამოფენა, რომელიც იაპონიის ერთ-ერთი დიდი ეკონომიკური გაზეთის „ნიპონ-კეიზაი-შიმბუნის“ ინიციატივით მოეწყო, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების კულტურულ კონტაქტებს მიეძღვნა.

საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმისა (ახალგორის, ვანის, მცხეთის) ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის (საირხის) არქეოლოგიურმა კოლექციებმა მართლაც რომ, ცხოველი ინტერესი გამოიწვია გამოფენაზე და პრესაშიც დიდი გამოხმაურება პოვა. დაიბეჭდა ფერადი ფოტომასალა, გამოიცა წიგნი-კატალოგი, გზამკვლევი და სხვა.

გამოფენა დათვალიერა სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა პ. დემიჩევმა.

საქართველოს ძველი კულტურის საკითხებზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა, პროფესორმა ლ. ჭილაშვილმა.

ს. ნუცუბიძე.

ყაბალი

მსოფლიოში უძლიერესნი

ვადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდე) გამოაცხადა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა რეიტინგი 1986 წლის 1 იანვრისათვის.

ეკეთა შორის პირველ ხუთეულში არიან გ. კასპაროვი — 2720 ქულა, ა. კარპოვი — 2700, ი. ტიმანი, რ. ვაჭანიანი და ი. იუსუპოვი — 2645-2645 ქულა.

ქალთა შორის პირველ თერთმეტ ადგილზე განაწილდნენ მ. ჩიბურდანიძე — 2455, ჰ. კრამლინგი, ჟ. პოლგარი — 2400-2400, ნ. გაფრინდაშვილი — 2350, ი. ლეგოტინა —2340, ნ. ალექსანდრია, ნ. იოსელიანი — 2310-2310, ე. ახმილოვსკაია—2305, მ. ლიტინსკაია — 2275, ლ. სემიონოვა და ჟ. ვერეცი-პეტროსიანი — 2260-2260 ქულა.

ზარგების გაზეთმა „ვიესნიკმა“ ტრადიციული საახალწლო ანკეტის შედეგებით მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი დააჯილდოვა „საქადრაკო ოსკარით“. ეს პრიზი კასპაროვმა უკვე მეორედ დაიმსახურა. ანკეტის მიხედვით გამოვლენილ ათ საუკეთესოს შორის მოხვდა კიდევ 5 საბჭოთა მოჭადრაკე. ესენი არიან ანატოლი კარპოვი, არტურ იუსუპოვი, რაფაელ ვაჰანიანი, ანდრია სოკოლოვი და მიხეილ ტალი.

სატურნირო ორბიტა

ჰოკეი: კანადის ქალაქ ჰამილტონში გაიმართა ახალგაზრდულ გუნდებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი. სსრ კავშირის ნაკრებმა ამ შეხვედრაშიც აღმავლობით ითამაშა, დაამარცხა მასპინძელთა კოლექტივი ანგარიშით 4:1 და მსოფლიო ჩემპიონის წოდებას დაეუფლა.

ფრენბურთი. ჩინეთის ქალაქ შანხაიში ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა რუბენ აკოსტამ (მექსიკა) დააჯილდოა ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე 13 ეროვნული გუნდი. ესენი არიან: ჩინეთის, პერუს, აშშ-ს, იაპონიის, კუბის, სსრ კავშირის, სამხრეთ კორეის, კანადის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, გდრ-ის, ბრაზილიის, ტუნისის და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები. დარჩენილ 3 ეკიპაჟურ ადგილს სხვა ქვეყნების გუნდები გაითამაშებენ 3-11 მაისს რომში. მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება 1986 წლის 2-13 სექტემბერს პრაღაში.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

თოლკოვი

4 იანვარი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — კონცერტი. 10.00 — ოჯახი და სკოლა. 10.30 — ბურატინოს გამოფენა. 11.00 — ჯანმრთელობა. 11.50 — უკრავს ე. მალინინი (ფორტეპიანო). 12.15 — ტელეფილმი „დიდია თუ არა წყნარი ოკეანე?“ (ვლადივოსტოკი). 13.05 — ყველასა და თითოეულისათვის. 13.35 — სახვითი ხელოვნება. 14.20 და 15.45 — ტელესპექტაკლი „ტარანტული“. 16.25 — მულტფილმი. 16.35 — საპაექრო კუნაი. 17.25 — ცხოველთა სამყაროში. 18.25 — სიმღერა, რომანსი, ვალსი. 19.05 — მულტფილმები. 19.30 — „მოსკოვის ცირკის კომიკოსი კარანდაში“. საესტრადო-საცირკო წარმოდგენა. 20.35 — ახალი ამბები. 20.40 და 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „სიტყვა შეაწიეთ ღარიბ ჰუსარს“. I და II სერია. 22.00 — „ვრემია“. 23.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.45 და 17.05 — დოკუმენტური ტელეფილმები. 10.05 — დილის ფოსტა. 10.35 — საჭადრაკო სკოლა. 11.05 — უკრავს ვ. ივკო (დომრა). 11.35 — XX საუკუნის დამდეგის რუსული ხელოვნება. ე. ჩესტნიაკოვი. 12.30 — „სტუმარი მომავლიდან“. IV სერია. 13.35 — ჩვენი ბაღი. 14.05 — მოსკოვი.